ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მაჟორიტარი წევრის ქეთევან ჯოხაძის

2018 წლის ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად წარმოგიდგენთ ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ.

2017 წლიდან გახლავართ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეექვსე მოწვევის, მაჟორიტარული წესით არჩეული წევრი (გლდანის რაიონი-22-ე ოლქი), ფრაქცია „ ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარის მოადგილე, ასევე განათლებისა და კულტურის და ეკონომიკური განვითარების საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიების წევრი.

საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაიმართა ბიუროს 28 ხოლო საკრებულოს 29 სხდომა, მიღებულ იქნა 397 განკარგულება და 127 დადგენილება. საკრებულოს სხდომებზე განხილულ იქნა დედაქალაქისა და მისი მოსახლეობისათვის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები როგორიცაა:

- ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა;
- ურბანული განვითარება;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- განათლება, სპორტი და ახალგაზრდობა;
- ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება;
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა;
- მუნიციპალური ქონება.

ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“

2017 წლის ნოემბრიდან გახლავართ ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარის მოადგილე, ფრაქციის წევრები იკრიბებიან მინიმუმ თვეში ერთხელ, სხდომაზე განიხილება დედაქალაქში მიმდინარე მნიშვნელოვანი საკითხები და ჯერდება პოზიციები. ფრაქცია „ ქართული - ოცნება კონსერვატორების მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 12 სხდომა , განხილულ იქნა 17 საკითხი. უმრავლესობის ფორმატში ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთან“ ერთად 2017 წლის დეკემბერიდან 2018 წლის ოქტომბრის ჩათვლით ჩატარდა **33** სხდომა საკითხთა რაოდენობამ შეადგინა **53.**

ფრაქციის სხდომაზე განვიხილეთ დედაქალაქისთვის მინშვნელოვანი და პრიორიტეტული საკითხები:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის მიმოხილვა;
- ქალაქ თბილისის სატრანსპორტო პოლიტიკის სამომავლო გეგმა;
- დასაქმების ფორუმი და სამომავლოდ დაგეგმილი ღონისძიებები;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ახალი სატრანსპორტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების დაგეგმვისა და მათი შესრულების გზების განხილვა;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო პოლიტიკის შესახებ;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში მიმდინარე პრობლემური მშენებლობები, დაგეგმილი პროექტების სწორი პოზიციონერება;
- შშმ პირებისათვის ხელშემწყობი პროექტების განხორციელება და მათი ჩართულობის უზრუნველყოფა;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის განხილვა;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონების გამგეობების სოციალური ბიუჯეტის გადანაწილების პრინციპების შესახებ;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში არსებული საბავშვო ბაგა-ბაღების რეაბილიტაციის თაობაზე.

კომისიური მუშაობა:

ინფორმაცია განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომებში საქმიანობის შესახებ:

2017 წლის 1 ნოემბრიდან 2018 წლის 19 ოქტომბრის ჩათვლით გაიმართა განათლებისა და კულტურის კომისიის 21 სხდომა, რომელზეც დღის წესრიგით გათვალისწინებული 29 საკითხი განვიხილეთ:

კომისიამ წლის დასაწყისში იმსჯელა დედაქალაქის ბიუჯეტის პროექტზე და იმ პრიორიტეტულ საკითხებზე, რომლებიც განათლებისა და კულტურის მიმართულებით იქნა ასახული 2018 წლის ბიუჯეტში:

- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა, შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და მომსახურეობის გაუმჯობესება.
- საბავშვო ბაგა-ბაღების აღსაზრდელთათვის სრულფასოვანი გარემოს შექმნა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა აქტივობის ამაღლება და საზოგადოებაში სოციალურ ინტეგრაცია.
- პრიორიტეტების ფარგლებში ხორციელდება ასევე ზოგადი, პროფესიული და ზრდასრულთა ასევე ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა.

- ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების და მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ხელშეწყობა, ქალაქის ბიბლიოთეკებში თანამედროვე სერვისების დანერგვა, სკოლამდელი განათლების სისტემის მართვა და განვითარება.

ასევე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა და მათთვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, წარმატებული სტუდენტების წახალისება. პროგრამის ფარგლებში სოციალურად დაუცველი სტუდენტების სწავლის საფასურის დაფინანსება ხორციელდება 100%, 70% და 50%-ის ფარგლებში (სახელმწიფოს მიერ აღიარებული გრანტის ფარგლებში) მოთხოვნისა და საკრებულოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, ასევე გაიცემა სტიპენდიები თბილისში რეგისტრირებული წარმატებული მაგისტრანტებისათვის.

კომისიამ არაერთხელ იმსჯელა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეფორმის პროცესსა და ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიც გახლავთ საბავშვო ბაგა-ბაღებში, კვების რაციონში ახალი სტანდარტების დანერგვა, სააღმზრდელო მეთოდოლოგიის დახვეწა, ახალი სერვისებისა და პროექტების დაგეგმარება.

საანგარიშო პერიოდში კომისიამ თბილისის 67-ე საბავშვო ბაღში გასვლითი სხდომის ფარგლებში თბილისის ბაგა-ბაღების სააგენტოს მუშაობის ანგარიში მოისმინა, ყურადღება იქნა გამახვილებული ინფრასტრუქტურულ და სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროექტებზე, ასევე, ბაგა-ბაღებში უსაფრთხოებასა და ამ მიმართულებით არსებულ გამოწვევებზე. დედაქალაქში საანგარიშო პერიოდის განმავლობაში 11 საბავშვო ბაღის მშენებლობა დასრულდა და ამ ეტაპზე 3000 მდე აღსაზრდელს ემსახურება. მშენებლობები მომავალ წელსაც გაგრძელდება, მოხდება ავარიული შენობების დემონტაჟი და მათ ადგილას აშენდება ახალი, თანამედროვე სტანდარტების შენობები. ასევე იგეგმება 10 ახალი ბაგა-ბაღის მშენებლობა თბილისის სხვადასხვა რაიონებში.

კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,თბილისის მედიათეკების'' ლიკვიდაციის საკითხს, რაც განაპირობა თბილისის მთავრობის მიერ "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების" დაფუძნებამ. აღნიშნული პროცესის მიზანი ყველა ინტერესისა და ასაკის მკითხველზე მორგებული თანამედროვე ბიბლიოთეკებისა და მულტიფუნქციური სივრცეების შექმნას წარმოადგენს.

კომისიამ მსჯელობის შედეგად ერთხმად დაუჭირა მხარი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის" ლიკვიდაციის საკითხს.

ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისია

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის მიერ გაიმართა 18 სხდომა.

საანგარიშო პერიოდში წარმოდგენილ ინიციატივებს შორის დედაქალაქის მოსახლეობისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცვლილებას წარმოადგენს ტაქსებთან დაკავშირებული რეგულაციები. დამტკიცდა წესი, დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M_1) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის შესახებ, შეიქმნა ერთიანი საინფორმაციო ბაზა ნებართვის მქონე პირთათვის. განხორციელებული რეგულაციების შედეგად ხდება ტაქსების სისტემის ცენტრალიზება, მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით გადაყვანის მომსახურეობის სამართლებრივ ნორმებში მოქცევა და მოსახლეობისათვის ტაქსით გადაადგილებისას კომფორტული გარემოს შექმნა.

გენდერული თანასწორობის საბჭო

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, გენდერულ საკითხებზე მუშაობა 2014 წლიდან დაიწყო. მას შემდეგ, რაც საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით შეიქმნა გენდერული თანასწორობის საბჭო, დადგენილებით განისაზღვრა საბჭოს უფლებამოსილება და საქმიანობა.

გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობაში გახლავართ 2018 წლის თებერვლიდან, საბჭოს მუშაობის მთავარ მიზანს წარმოადგენს თბილისის მუნიციპალიტეტში გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა, ქალთა გაძლიერების მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელება და საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან თანამშრომლობა.

საბჭოს მიერ მიმდინარე წელს დამტკიცებულ იქნა 2018-2020 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, განხორციელდა გენდერული საბჭოს სამუშაო ჯგუფის ფორმირება და საბჭოს საქმიანობის ფარგლებში გაიმართა არაერთი შეხვედრა.

გენდერული საბჭოს წევრებსა და აშშ-ის ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის წარმომადგენლებს შორის გამართულ შეხვედრაზე ორგანიზაციის წარმომადგენლებმა, საბჭოს წევრებს მომავალ ლიდერ ქალთა პროგრამის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგები გააცნეს. კვლევა მოიცავდა შემდეგი შინაარსის თემებს: გენდერი და დასაქმება, დეკრეტული შვებულება ქალებსა და მამაკაცებში, სექსუალური შევიწროება სამსახურში, ქალები სამხედრო სამსახურში.

შეხვედრაზე ვიმსჯელეთ გენდერული საკითხების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის შესახებ და საპილოტე პროგრამების შემუშავების საჭიროებაზე შევთანხმდით.

აქტივობები, ტრენინგები, სემინარები:

ქალთა საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით, პროექტის „გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გაძლიერება ადგილობრივი თვითმართველობის დონეზე“ ფარგლებში ორდღიანი სამუშაო შეხვედრა გაიმართა 23-25 თებერვალს ქალაქ ბორჯომში.
შეხვედრის მთავარ მიზანს წარმოადგენდა თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის ფორმირება. თბილისის მერიის წარმომადგენლებთან ერთად განვიხილეთ გენდერული თანასწორობის სტრატეგია და ვიმსჯელეთ განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმაზე.

გენდერული თანასწორობის საბჭოს ფარგლებში შეხვედრა გაიმართა შვედეთის ვიცე-სპიკერთან, შვედ სტუმარს გენდერული სტრატეგიის გეგმა გავაცანით და არსებულ გამოწვევებზე ვისაუბრეთ.

მივლინებები:

საანგარიშო პერიოდში 2018 წლის 6 მაისიდან 2018 წლის 10 მაისის ჩათვლით ვიმყოფებოდი ქ. ვაშინგტონში (აშშ) , ვიზიტის ფარგლებში შევხდით კონგრესის წევრებს, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტების წარმომადგენლებს, საქართველოს საკითხებზე მომაშავე კვლევით ორგანიზაციებს NED-ის, IRI-ის NDI-ის ასევე HERITAGE FOUNDATION-ს , არაერთი შეხვედრა გაიმართა ამერიკისა და საქართველოს შორის არსებული სტრატეგიული თანამშრომლობის, რეგიონში საქართველოს განსაკუთრებული როლის და ამერიკის მოკავშირეობის მნიშვნელობის თაობაზე.

ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაცია:

მაჟორიტარის წარმომადგენლობაში მოქალაქთა მიღება მიმდინარეობს ყოველდღიურად, ადგილობრივი მოსახლეობა მოგვამართავს სხვადასხვა პრობლემატური საკითხების მოგვარების თხოვნით, ჩემი წარმომადგენლობის მიერ მყისიერად ხდება არსებულ პრობლემებზე რეაგირება. ყოველი კვირის ოთხშაბათს უშუალოდ ვხვდები მოქალაქეებს ვეცნობი მათ საჭიროებებს და კომპეტენციის ფარგლებში ვუწევ შესაბამის დახმარებას.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაიმართა 35 მიღება და 1075-მდე მოქალაქესთან შედგა შეხვედრა. განხორციელდა 80-მდე სატელეფონო საუბარი იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მყისიერად საჭიროებდნენ რეაგირებას.

წარმომადგენლობა შეისწავლის ჩემს სახელზე შემოსულ წერილებსა და განცხადებებში დასმულ პრობლემატურ საკითხებს და ჩემი გადაწყვეტილების მიხედვით რეაგირებას ახდენს მათზე. საანგარიშო პერიოდში სულ შემოსულია 100- მდე განცხადება, რომლებიც რეაგირებისთვის გადაგზავნილია შესაბამის უწყებებში. შემოსული წერილების უმეტესი

ნაწილი დაკმაყოფილებულია ან დღევანდელი მდგომარეობით პასუხის მოლოდინში იმყოფება.

მოქალაქეები მომმართავენ სხვადასხვა პრობლემატური საკითხების მოგვარების თხოვნით, აქედან ძირითადად იკვეთება სოციალური უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვისა და ინფრასტრუქტურული მოწყობის მიმართულებით არსებული საჭიროებები.

- სამედიცინო მომსახურეობის დაფინანსების თაობაზე შემოსულია 10 განცხადება.
- მედიკამენტები გადაეცა 16-ოჯახს, რომლის დაფინანსება უზრუნველყო დეპუტატის შუამდგომლობით გლდანის რაიონის გამგეობამ.
- ასევე მკურნალობისა და გამოკვლევების ხარჯები დაუფინანსა აღნიშნულმა სამსახურმა 15 ადამიანს.
- მოქალაქეები მომმართავენ კომუნალური გადასახადების დავალიანების გადანაწილებასთან დაკავშირებით. 5 მოქალაქეს შუამდგლომლობის საფუძველზე გადაუნაწილდა დავალიანება.
- ერთჯერად დახმარებაზე სოციალურად დაუცველმა თექვსმეტმა ოჯახმა მომმართა, რომელიც გადაგზავნილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობაში.
- ბინის ქირით უზრუნველყოფაზე შუამდგომლობის თხოვნით არაერთმა სოციალურად დაუცველმა პირმა მოგვმართა, გადაგზავნილ იქნა თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობაში.
- ასევე გაიცა სხვადასხვა სახის რეკომენდაციები, კერძოდ: დასაქმების თაობაზე მოქალაქეებს გაეწია შუამდგომლობა.
- ინფრასტრუქტურული მოწყობის მიმართულებით- 15 განცხადება.
- სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი ფართის დაკანონების მოთხოვნით მოგვამრთა არაერთმა ოჯახმა, შუამდგომლობები გადაგზავნილ იქნა შესაბამის სამსახურებში და ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოკვლევა .

ინფრასტრუქტურული პროექტები :

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, მუხიანის დასახლებაში ინტენსიურად ხორციელდება მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები, მიმდინარეობს მთავარი გამზირის, არსებული სკვერებისა და ქუჩების აღდგენა-რეაბილიტაცია. ჩემს მიერ, დედაქალაქის მერთან; გლდანის რაიონის გამგელთან და შესაბამისი სამსახურის თანამშრომლებთან ერთად ინტენსიურად ხორციელდება მიმდინარე და დასრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების მონიტორინგი.

მუხიანი 2-ის ინფრასტრუქტურული მოწყობა: - მუხიანის დასახლებაში რიგი პრობლემატური საკითხების მიღმა კვლავ აქტუალურია ქ. თბილისის შემოერთებული ტერიტორია და მისი კეთილმოწყობის საკითხი. კერძოდ მუხიანი 2 -ის დასახლება, დედაქალაქს რამდენიმე წლის წინ შემოუერთდა, აღნიშნულ ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული მოწყობის კუთხით არსებული მძიმე მდგომარეობა უკვე წლებია

ადგილობრივი მოსახლეობისთვის მოუგვარებელ პრობლემად იქცა. ჩემი აქტიური ჩართულობით, ქალაქის მერიის შესაბამისი სამსახურებისა და გლდანის გამგეობის თანამშრომლობით აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა მუხიანი 2-ის დასახლებაში წლების მანძილზე მოუგვარებელი პრობლემების აღმოსაფხვრელად. ქალაქ თბილისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის მიერ დასახლებაში ინტენსიურად ხორციელდება კომპლექსური ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რეაბილიტაციის პროექტის მიხედვით ამ ეტაპზე მიმდინარეობს ცენტრალური კოლექტორის მშენებლობა, რის შემდეგაც ვარდისუბნისა და საზანოს ქუჩებზე წყალრინების ახალი ქსელი მოეწყობა. ქსელის მოწყობის სამუშაოებისათვის დედაქალაქის ბიუჯეტიდან 1 903 172 ლარი იქნა გამოყოფილი.

დუმბაძის გამზირი - მუხიანის დასახლებაში ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩა გახლავთ, აღნიშნული გამზირის კეთილმოწყობა მოსახლეობის მოთხოვნას მრავალი წელია წარმოადგენს . ამ დროისთვის დუმბაძის ქუჩაზე მიმდინარეობს მასშტაბური პროექტი, რომლის ფარგლებშიც სრულად მოწესრიგდება საგზაო ინფრასტრუქტურა: განხორციელდება სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია, მოეწყობა ასფალტის საფარი, ბორდიურები და გზაგამყოფი ზოლი, რომელიც წარმოქმნის დამატებით გამწვანებულ სივრცეს დასახლებაში. პროექტი ჯამში 17 000 კვადრატულ მეტრს მოიცავს და მასზე დედაქალაქის ბიუჯეტიდან 1 400 000 ლარი დაიხარჯება. სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარე წლის ნოემბერში დასრულდება.

ავჭალა 1 (მუხიანის სამხედრო დასახლება) –ცენტრალურ ქუჩებზე სრულად მოწესრიგდა საგზაო ინფრასტრუქტურა.

ავჭალა 1-ში გასულ წელს მასშტაბური პროექტი განხორციელდა, რომლის ფარგლებშიც წყალრინების (კანალიზაციის) და სანიაღვრე ქსელის მოწყობა/რეაბილიტაცია დასახლების მთელ ტერიტორიაზე განხორციელდა, ხოლო ამ ეტაპისთვის უკვე დასრულდა ცენტრალურ ქუჩებზე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.

გზების კაპიტალური მოწყობა განხორციელდა შემდეგ ქუჩებზე:

- ✓ ლურჯქედის ქუჩა - ასფალტის საფარი დაიგო 2 300 კვ.მ ფართობზე;
- ✓ საგუბარის ქუჩა - საგზაო ინფრასტრუქტურა მოწესრიგდა 900 კვ. მ ფართობზე;
- ✓ გაბაშვილის V გასასვლელში - 3 478 კვ.მ-ზე;
- ✓ ა. გობრონიძის ჩიხი;
- ✓ ღვალაძის ქუჩა ;
- ✓ ქუჯი ერისთავის ქუჩა ;
- ✓ გაბაშვილის 1 გასასვლელი
- ✓ გაბაშვილის მე-4 გასასვლელი
- ✓ ავჭალა 1, ქობის ჩიხი

გზის საფარი მოეწყო მუხიანის მესამე მიკრორაიონში №151-ე ბაგა-ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე, ადგილობრივმა მოსახლეობამ აღნიშნულ ტერიტორიაზე გზის მოწყობის

მოთხოვნით მიმდინარე წლის გაზაფხულზე მომმართეს. ეს გახლავთ ერთადერთი პირდაპირი გზა, რომლითაც სარგებლობენ მიმდებარე კორპუსის მაცხოვრებლები უახლოეს ბაგა-ბაღში მისასვლელად. ახალი სასწავლო წლიდან კი აღსაზრდელებს შესაძლებლობა მიეცათ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებამდე კომფორტულად გადაადგილდნენ. სამუშაოების ფარგლებში მოეწყო ასევე ბორდიური, ხოლო ასფალტის საფარი დაახლოებით 1 400კვ.მ ფართობზე დაიგო.

ნონეშვილის ქუჩა - ასევე, ჩემი აქტიური ჩართულობით მუხიანში კეთილმოეწყო ნონეშვილის ქუჩა, განხორციელდა არსებული კიბეებისა და ფეხით სავალი ბილიკების რეაბილიტაცია/აღდგენა, კორპუსების მიმდებარედ ქუჩასთან დამაკავშირებელი კიბეები მოეწყო შემდეგ მისამართებზე: მესამე მ/რ-ის, კორპ №18 , მეორე მ/რ-ის №5, №8, №11 კორპუსებთან.

აღნიშნულ კორპუსებთან ასევე მოეწყო ფეხით სავალი ბილიკები, დაახლოებით 1200 კვ.მ-ზე, ხოლო №11 კორპუსთან მისასვლელი გზა პანდუსით იქნა უზრუნველყოფილი.

მარატ ნოზაძის სკვერი - მუხიანში მოსასვენებელი სივრცეების მოწყობა აქტიურად ხორციელდება. ამ მიმართულებით ერთ-ერთი მასშტაბური პროექტი გახლავთ 2008 წლის ომის დროს დაღუპული გმირის , მარატ ნოზაძის სახელობის სკვერი, რომლის აღდგენა/რეაბილიტაცია ასევე ჩემი უშუალო ჩართულობით დაიგეგმა.
პროექტის ფარგლებში, 1 200 კვ. მ ფართობზე სკვერისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა განთავსდება და ტერიტორია გამწვანდება. ასევე სკვერში მოეწყობა მარატ ნოზაძის მემორიალი, დამონტაჟდება გარე განათება და სარწყავი სისტემა. სამუშაოებისთვის 162 332 ლარია გათვალისწინებული. სკვერის მოწყობის სამუშაოების მიმდინარე წლის ნოემბერში დასრულდება.

საანგარიშო პერიოდის განმვალობაში მოსახლეობის მომართვიანობიდან გამომდინარე ,მცირე ზომის სკვერები მოეწყო შემდეგ მისამართებზე:

- ✓ პირველი მ/რ-ის ა, კორპუსის მიმდებარედ;
- ✓ მე-2 მ/რ-ის №15 კორპუსის მიმდებარედ;
- ✓ მე-3 მ/რ-ის №10-14 კორპუსების მიმდებარედ.
- ✓ მუხიანის 4ბ მ/რ კორპ N41-42-ის მიმდებარედ
- ✓ მუხიანის 4ა მ/რ კორპ N 17ა-ს მიმდებარედ

ასევე, ადგილობრივ მაცხოვრებელთა მოთხოვნების შესაბამისად მუხიანში, ხუთ მისამართზე მოეწყო მოსასვენებელი პავილიონი:

- ✓ პირველი მ/რ-ის N2 კორპუსის მიმდებარედ;
- ✓ მე-4 ბ მ/რ-ის N30 კორპუსის მიმდებარედ;
- ✓ მე-2 მ/რ-ის N1 კორპუსის მიმდებარედ;
- ✓ მე-2 მ/რ-ის N2-3 კორპუსის მიმდებარედ;
- ✓ მე-4 ა მ/რ-ის N15-16 კორპუსების მიმდებარედ;

ახალი სპორტული მოედანი მოეწყო ორ მისამართზე:

- ✓ მუხიანის 3 მ/რ კორპ N10-14 ის მიმდებარედ ახალი სპორტული მოედანი
- ✓ მუხიანის 4ა მ/რ კორპ N 17-17ა-ს მიმდებარედ კალათბურთის მოედნი

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

სამედიცინო მომსახურეობის დაფინანსების მოთხოვნით სულ ჯამში 21 მოქალაქემ მომმართა, აქედან უმრავლესობა დაკმაყოფილდა სრულად, ნაწილი მოთხოვნილი თანხის 70 % -ით. ჩემი შუამდგომლობით სამართლებრივი დახმარება გაეწია მრავალ სოციალურად დაუცველ მოქალაქეს, კერძოდ სტატუსის შეჩერების პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით. შემოსული წერილობითი და ზეპირი განცხადებების საფუძველზე მოხდა სოციალურად დაუცველი იმ მოქალაქეების პრობლემის გამოკვლევა და მოგვარება, რომელთაც შეუჩერეს სტატუსი ან ხელმეორედ გადამოწმების საფუძველზე მიანიჭეს მაღალი სარეიტინგო ქულა. ერთჯერადი მატერიალური დახმარებისა და ბინის ქირით უზრუნველყოფაზე, შუამდგომლობის თხოვნით არაერთმა სოციალურად დაუცველმა პირმა მომმართა განცხადებით, რომლებიც შემდგომი რეაგირებისთვის და შესაბამისი დახმარების აღმოჩენისთვის გადაიგზავნა თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობაში.

მუხიანის დასახლებაში სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ორი უფასო სასადილო ფუნქციონირებს, რომლებიც ამ ეტაპისთვის 1 256 ბენეფიციარს უწევენ მომსახურებას. ხშირია მომართვიანობა იმ პირების მხრიდან, რომლებიც სასადილოს მომსახურებით ვერ სარგებლობენ, ჩემი შუამდგომლობის საფუძველზე კი საკვების გარეშე დარჩენილი სოციალურად დაუცველი მოქალაქეები, სასადილოს ბენეფიციართა ძირითად ან დამატებით სიებში ხვდებიან.

ადგილზე პირადად ვეცნობი მუხიანის მოსახლეობის სოციალურ პირობებს, პირადად მოვინახულე ბინის დატბორვის შედეგად საცხოვრებლის გარეშე დარჩენილი სოციალურად დაუცველი ოჯახი და ვითარებას ადგილზე გავეცანი. ჩემს მხრივ განსაკუთრებული ყურადღების სფეროა მრავალშვილიანი ოჯახების, სოციალურად დაუცველი, შშმ პირების მხარდაჭერა და მათი თანადგომა, მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა და მზრუნველობა.

ამ მიმართულებით განსაკუთრებით სასიხარულოა ის ფაქტი რომ საკრებულოს ინიციატივით, კომპანიაში „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი, მუხიანში მცხოვრები 28 წლის ნანა ნაფიშვილი დასაქმდა. პირველი სამუშაო დღე ნანა ნაფიშვილს საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ტყემალაძესთან ერთად მივულოცე. ნანა ნაფიშვილის დასაქმება კერძო სექტორთან ურთიერთ თანამშრომლობის საფუძველზე, თბილისის საკრებულოსა და კომპანია „ყაზტრანსგაზს“ შორის მიღწეული შეთანხმებით მოხდა.

ელექტროპანდუსი შშმ პირთათვის : ასევე აღსანიშნავია, რომ მუხიანში, კერძოდ III მ/რ-ის მე-8-ე კორპუსში, მესამე სადარბაზოს ადაპტირება განხორციელდა. აღნიშნულ მისამართზე მცხოვრებ ერთ-ერთ ოჯახში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ორი პირი ცხოვრობს, ოჯახმა საცხოვრებელი სივრცის ადაპტირების თხოვნით წინასაარჩევნო პერიოდში მომმართა. ნიკოლოზი და დათო მოსწავლეები არიან და ელექტროპანდუსის დახმარებით ისინი ყოველდღიურად საგანამანათლებლო დაწესებულებამდე დამოუკიდებლად გადაადგილებას შეძლებენ. მოწყობილობა რამოდენიმე პულტით იმართება და მისი სარგებლობა, საჭიროების შემთხვევაში ყველასთვის შესაძლებელია. ელექტროპანდუსის მოწყობის სამუშაოებისათვის გლდანის რაიონის გამგეობის ბიუჯეტიდან 35 500 ლარი იქნა გამოყოფილი.

ხანგრძლივ სარგებლობაში არსებული ფართების საკუთრებაში გადაცემის საკითხი

მუხიანის დასახლებაში IV ა მ/რაიონის, მე-10-ე კორპუსში უკვე წლებია ცხოვრობენ და ფლობენ საცხოვრებელ ფართებს, მათ მიერ განხორციელებულ იქნა მთელი რიგი სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები ბინების საცხოვრებელ მდგომარეობამდე მიყვანისათვის. მოქალაქეების მომართვის საფუძველზე, ჩემი აქტიური ჩართულობითა და დედაქალაქის მერთან კახა კალაძესთან ერთობლივი მუშაობით წლების განმავლობაში გადაუჭრელი პრობლემა უკვე მოგვარებულია, აღნიშნულ მისამართზე მცხოვრებ ექვსს ოჯახს ფაქტიურ მფლობელობაში არსებული ფართები სიმბოლურ ფასად 1-ლარად გადაეცათ, პირადად ადგილზე შევხვდი ამ ოჯახებს , მათ უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე თბილისის საკრებულოს განკარგულება გავაცანი და გლდანის გამგებელთან ერთად საკუთრების დამადასტურებელი მოწმობები გადავეცით.

მუნიციპალური ტრანსპორტი

მუხიანში მუნიციპალური ტრანსპორტის მოძრაობის კუთხით საანგარშო პერიოდში სასიხარულო ცვლილებები განხორციელდა.
მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად დასახლებაში მოძრავ მუნიციპალურ ტრანსპორტს ახალი მარშრუტი დაემატა, კერძოდ:
✓ #76 - ავტობუსი მუხიანის დასახლების მე-4 „ბ“ მ/რაიონიდან მ. „ახმეტელის თეატრის მიმართულებით იმოძრავებს.
✓ ხოლო, #79 მარშრუტზე საშუალო ტევადობის „ბოგდანის“ მარკის ავტობუსები დიდი „ბოგდანებით“ ჩანაცვლდა.
ასევე ადგილობრივ მაცხოვრებელთა მოთხოვნითა და ჩემი შუამდგომლობით დუმბაძის გამზირზე, ერთ-ერთ მონაკვეთზე დამონტაჟდა გაჩერება-მოთხოვნით, რაც მიმდებარე კორპუსის მოსახლეობისათვის, მუნიციპალური ტრანსპორტით გადაადგილებას უფრო კომფორტულსა და ხელმისაწვდომს გახდის.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობა

გლდანის რაიონის გამგეობის მიერ, ბინათმესაკუთრეთა თანადაფინანსების ახალი წესის მიხედვით, პროექტის განხორციელება მუხიანის დასახლებაში აქტიურად მიმდინარეობს. კერძოდ, მუხიანის მე-2 მ/რ-ის N5 კორპუსში კანალიზაციის ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები ხორციელდება, რომლის ფარგლებშიც მოეწყო 16 საკანალიზაციო ჭა , 347 გრძივი მეტრზე კი გოფრირებული მილი განთავსდა. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების დაფინანსების ახალი წესის თანახმად, გამგეობამ სამუშაოები 100%-ით დააფინანსდა.

ახალი წესის მიხედვით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას ერთი მხრივ, სრულად, 100%-ით დაუფინანსდება საკუთარი ინფრასტრუქტურული საჭიროებები, ხოლო მეორე მხრივ, ეკისრება ვალდებულება, შეაგროვოს დაფინანსებული სამუშაოების ღირებულების არანაკლებ 10%-ის ოდენობის თანხა, რომელსაც საკუთარი საერთო ქონების ინფრასტრუქტურულ განვითარებას და მოვლა-პატრონობას მოახმარს.

ახალი წესი მიზნად ისახავს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ინსტიტუციურ გაძლიერებას, მის ეკონომიკურ განვითარებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართულობას. ამასთანავე, საერთო ქონებაზე სოლიდარული პასუხისმგებლობის გამომუშავებას და ამ გზით, თვითმმართველობის განვითარების ხელშეწყობას. ასევე, მონაწილეობის მიღებას იმ საკითხების გადაწყვეტაში, რაც უშუალოდ, ამხანაგობას და მის საცხოვრებელ არეალს ეხება.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები და განათლება

მუხიანში ამ დროისთვის ოთხი საბავშვო ბაგა-ბაღი ფუნქციონირებს, თუმცა უკვე წლებია დასახლების ხუთივე მიკრო რაიონის მოსახლეობის მოთხოვნას წარმოადგენს დამატებით სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მშენებლობა, რადგან მაღალი მოთხოვნისა და მომართვიანობის გამო საბავშვო ბაგა ბაღებში მუდმივად ფიქსირდება ადგილების დეფიზიტი. ა (ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“-ს გადაწყვეტილებით მუხიანში იგეგმება დამატებით ორი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მშენებლობა, შემდეგ მისამართებზე:

- ✓ მუხიანის პირველი მ/რაიონი № 184 ბაგა-ბაღის მიმდებარედ (ს/კ 01.11.17.004.314)
- ✓ ა. გობრონიძის ქუჩა მუხიანის საერთო საცხოვრებლის მიმდებარედ (ს/კ 01.11.13.002.098)

საანგარიშო პერიოდში ჩემი ინიციატივით ჩატარდა სხვადასხვა სოციალურ, საქველმოქმედო, შემოქმედებითი ღონისძიებები.

- ✓ დავესწარი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში გამართულ ღონისძიებებს და აღსაზრდელებთან ერთად ავღნიშნე წიგნის საერთაშორისო კითხვის დღე.
- ✓ ვესტუმრე სამაჟორიტარო ოლქში მდებარე 175-ე საჯარო სკოლას, მოსწავლეების მიერ გამართულ ღონისძიებას დავესწარი და მონაწილეებს ბატუტ ცენტრის ვაუჩერები გადავეცი.

- ✓ კამპანიის „როდესაც სპორტი ცვლის სამყაროს“ ფარგლებში, მუხიანში მდებარე 174-ე საჯარო სკოლას ვესტუმრეთ.მოსწავლეებს თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძესთან, სპორტსმენებთან და საკრებულოს წევრებთან ერთად შევხვდით და სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობაზე ვესაუბრეთ.
- ✓ აღდგომის დღესასწაული პირადად მივულოცე მუხიანში მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს და სააღდგომო ნობათები გადავეცი მათ.

განსახორციელებელი პროექტები

მოგახსენებთ რომ აქტიურად ვარ ჩართული დედაქალაქის 2019 წლის ბიუჯეტის დაგეგმარების პროცესში, რათა მომავალი წლის ბიუჯეტში აისახოს ის პრიორიტეტული მიმართულებები და პროექტები რაც მნიშვნელოვანია ჩემს სამაჟრიტარო ოლქში მცხოვრები მოსახლეობისათვის.

მოსახლეობის მომართვის საფუძველზე ადგილზე მიმდინარეობს მოკვლევა თითოეული ინფრასტრუქტურული პროექტისა და განსახორციელებელი სამუშაოების დაგეგმარების მიზნით, მოსახლეობის ჩართულობის შედეგად შესაძლებელი გახდება მათი ინიციატივებისა და წინადადებების გათვალისწინება ქალაქის მთავარ დოკუმენტში.